ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომის

ოქმი N50

ქ.თბილისი 20 დეკემბერი, 2019 წელი
16^{00}საათი

საკრებულოს სხდომას ესწრებოდნენ:

საკრებულოს თავმჯდომარე: გიორგი ტყემალაძე

საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე: გიორგი ახვლედიანი

საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე: მარიკა დარჩია

საკრებულოს წევრები:

მიხეილ ამაშუკელი
რამინა ბერაძე
ოთარ გრიგოლია
ბექა დავითულიანი
ლევან დარახველიძე
ერეკლე კუხიანიძე
ნინო ლაცაბიძე
ქეთევან მამულაშვილი
შალვა ოგბაიძე
ლევან ჟორჟოლიანი
დათო რურუა
რევაზ სოხაძე
დავით უთმელიძე
თარაშ შურღაია
ავთანდილ ცინცაძე
დავით ჭელიძე
ალექსანდრე ხუჯაძე
ილია ჯიშკარიანი
ლევან არველაძე
გულია გოცირიძე
ლევან დავითაშვილი
გიორგი დოხტურიშვილი
გოჩა თევდორაძე
თევდორე ისაკაძე
ანა ლაშხი
ლილე ლიპარტელიანი
თინათინ ნიბლოშვილი
ნინო რუხაძე
თამარ ტალიაშვილი
ვახტანგ შაქარიშვილი
გიორგი ჩაკვეტაძე
ვლადიმერ ძნელაძე
ლევან ხაბეიშვილი
ლევან ჯაფარიძე
ჯაბა ჯიშკარიანი
ქეთევან ჯოხაძე

სხდომას ესწრებოდნენ:

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე მაია ბითაძე;

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსი გაიოზ თალაკვაძე;

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილე ვასილ აბულაძე;

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ინსპექციის საქალაქო სამსხაურის უფროსი ლევან ჯღარკავა;

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის გლდანის რაიონის გამგეზელი ბექა მიქაუტაძე;

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ „ქონების მართვის სააგენტოს“ უფროსის მოვალეობის შემსრულებელი გიორგი გვენეტაძე;

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილე ჯუმბერ ყანდარელი;

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის უფროსის უფროსის თანამდებობაზე წარდგენილი კანდიდატი ვიქტორ წილოსანი.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომა გახსნა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ. ღრმა მწუხარება გამოთქვა ორი არასრულწლოვანის თვითმკვლელობის გამო, მიუსამძიმრა მათ ოჯახებს და ახლობლებს და განაცხადა, რომ ეს ტრაგედია არის თითოეული ჩვენგანის ტკივილი, რომლის სიტყვებით გადმოცემა შეუძლებელია. მისი თქმით, „ჩვენ, ყველამ ერთად, უნდა შევქმნათ უსაფრთხო გარემო მომავალი თაობისთვის... ყველა ბავშვმა უნდა იგრძნოს, რომ მის გვერდით, ოჯახის გარდა, არის საზოგადოება“. საკრებულოს წევრებმა წუთიერი დუმილით პატივი მიაგეს გარდაცვლილების ხსოვნას.

ერეკლე კუხიანიძემ, მის გარშემო განვითარებულ მოვლენებთან დაკავშირებით, განაცხადა, რომ ბევრი რამ აქვს სათქმელი, თუმცა ქვეყანაში მომხდარი ტრაგიკული მოვლენების გამო, ამის დრო არ არის. მისი თქმით, გულდასაწყვეტია რაც მოხდა, თუმცა, იმედოვნებს, რომ უახლოეს მომავალში, მიეცემა კოლეგებთან საუბრის საშუალება. ერეკლე კუხიანიძემ განაცხადა, რომ არ დაესწრება მიმდინარე სხდომას, საკრებულოს წევრებს და დამსწრე საზოგადოებას მადლობა გადაუხადა ყურადღებისთვის და დატოვა სხდომის დარბაზი.

ლევან ხაბეიშვილი შეუერთდა ქვეყანაში მომხდარი ტრაგედიის გამო გამოთქმულ მწუხარებას და განაცხადა, ვაჟა გაფრინდაშვილს, რომლის საქციელი არის გმირობა, მიუღებელია ვინმემ უწოდოს პროვოკატორი. სამწუხაროდ, „ქართული ოცნების“ პოლიტიკურმა გუნდმა ეს მოახერხა, კერძოდ, ერეკლე კუხიანიძემ. მისი თქმით, არავინ იკითხავს ამ კონკრეტული ადამიანის არც თანამდებობას და არც პარტიას, თუმცა დაინტერესდებიან, არის თუ არა ისევ საკრებულოს წევრი და ხალხის რჩეული. განაცხადა, რომ საკრებულოს წევრებს გაუჭირდებათ იმ ადამიანთან ერთად მუშაობა, რომელმაც ჩაიდინა უღირსი და ამორალური საქციელი და საკრებულოს თითოეული სხდომა, რომელსაც დაესწრება ერეკლე კუხიანიძე, იქნება „უდიდესი დისკომფორტი და ჩვენი ქვეყნის უდიდესი სირცხვილი“. ლევან ხაბეიშვილმა ასევე გააჟღერა ინფორმაცია, რომ დღეს გაიმართება საკრებულოს ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ თანამშრომლის ჯაბა კვარაცხელიას სასამართლო პროცესი, რომელიც დაკავებული იქნა ერეკლე კუხიანიძის თანამდებობიდან გადაყენებასთან დაკავშირებით გამართული აქციის დროს იმ მიზეზით, თითქოს ის ლანძღავდა და წინააღმდეგობას უწევდა სამართალდამცავებს. პროტესტის ნიშნად, რომ დაკავებულია უწესიერესი ადამიანი, რომელსაც კანონდარღვევა არასდროს ჩაუდენია, ხოლო ერეკლე კუხიანიძე გადაადგილდება თავისუფლად, „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენლებმა, დატოვეს საკრებულოს სხდომა.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგი წარმოდგენილი სახით:

დღის წესრიგი:

1. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გარემოს დაცვის კომისიის თავმჯდომარის თანამდებობიდან ერეკლე კუხიანიძის გადაყენების შესახებ“;

მომხსენებელი: გიორგი ტყემალაძე

2. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის (საქალაქო სამსახურის უფროსი) თანამდებობაზე ვიქტორ წილოსანის დანიშვნაზე თანხმობის მიცემის შესახებ“;

მომხსენებელი: მაია ბითაძე

3. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 25 დეკემბრის N34-115 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ";

მომხსენებელი: გაიოზ თალაკვაძე

4. „საქართველოს დედაქალაქის ადმინისტრაციულ საზღვრებში ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მიზნით ავტობუსების (M2 კატეგორია) მოძრაობის მარშრუტების დამტკიცების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის N17-47 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ";

მომხსენებელი: ვასილ აბულაძე

5. „საქართველოს დედაქალაქის – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ეკონომიკის რეგულირებად სფეროდ განსაზღვრული ავტობუსებით (M2 კატეგორია) მგზავრთა გადაყვანისას მგზავრობის ტარიფების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 აპრილის N8-31 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე";

მომხსენებელი: ვასილ აბულაძე

6. „ქალაქ თბილისის ადმინისტრაციულ საზღვრებში სატრანსპორტო საშუალებების პარკირების რეგულირების წესისა და პარკირების საფასურის დადგენის შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 27 დეკემბრის N33-99 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე";

მომხსენებელი: ვასილ აბულაძე

7. „ცალკეული ხაზობრივი ნაგებობების განთავსების, სამუშაოების წარმოების ან/და მათი შემდგომი რეგისტრაციის თაობაზე თანხმობის გაცემის წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის N19-75 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე";

მომხსენებელი: ლევან ჯღარკავა

8. „ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობის პროგრამის" განხორციელებისა და ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების აღრიცხვის წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 9 თებერვლის N12-29 დადგენილებით დამტკიცებული „ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობის პროგრამის" განხორციელებისა და ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების აღრიცხვის წესში" ცვლილების შეტანის შესახებ";

მომხსენებელი: ბექა მიქაუტაძე

9. „ქალაქ თბილისში, ქუჩა პეტრე და იოსებ ოცხელების, N24-ში (საკადასტრო კოდი: N01.19.33.002.060.01.503) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე";

მომხსენებელი: გიორგი გვენეტაძე

10. „ქალაქ თბილისში, დაბა წყნეთი, იოსებ გრიშაშვილის ქუჩა N49-ში (საკადასტრო კოდი: N01.20.01.001.009) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე";

მომხსენებელი: გიორგი გვენეტაძე

11. „ქალაქ თბილისში, სოფელ ოქროყანაში, დავით გურამიშვილის ქუჩა N7-ში (საკადასტრო კოდი: N01.15.07.003.101.01.002) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე";

მომხსენებელი: გიორგი გვენეტაძე

12. „ქალაქ თბილისში, შალვა მშველიძის ქუჩა N16-ში (საკადასტრო კოდი: N01.17.09.007.005) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: გიორგი გვენეტაძე

13. „ქალაქ თბილისში, ქუჩა ბესარიონ ჭიჭინაძე, N10ᵃ, კორპუსი N3-ში (საკადასტრო კოდი: N01.19.23.009.032) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: გიორგი გვენეტაძე

14. „ქალაქ თბილისში, მამია გურიელის ქ.N5ᵃ-ში მდებარე უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი: N01.14.15.001.300.03.03.002) პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: გიორგი გვენეტაძე

15. „ქალაქი თბილისი, შანდორ პეტეფის ქუჩის ხელმარცხნივ N10, N18ᵃ და N20ᵃ კორპუსებს შორის არსებული 233 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.17.10.002.317) საჯარო სამართლის იურიდიული პირი - საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიისთვის (ს/ნ.: 204395537) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების შესახებ“;

მომხსენებელი: გიორგი გვენეტაძე

16. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, განსაზღვრული მოძრავი ქონების საჯარო სამართლის იურიდიული პირი - საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიისთვის (ს/ნ.: 204395537) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზებისა და შესაბამისი ხელშეკრულების პირობების შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: გიორგი გვენეტაძე

17. „ქალაქ თბილისში, რკინის რიგის ქუჩაზე რეგისტრირებული 536 კვ.მ. მიწის ნაკვეთიდან (ს/კ.: N01.18.03.061.039) 21 კვ.მ. მიწის ნაკვეთის ი/მ მანანა პრუსეცკისთვის (პ/ნ.: 01008005543) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: გიორგი გვენეტაძე

18. „ქალაქ თბილისში, ნუცუბიძის ქ.N88-90-ის მიმდებარედ არსებული 54 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (ს/კ.: N01.14.04.008.341) მარიამ ჭუბაბრიასთვის (პ/ნ.: 01024076018) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: გიორგი გვენეტაძე

19. „ქალაქ თბილისში, ცოტნე დადიანის ქუჩა, ვეტერანთა და შრომის პარკის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდით: N01.12.11.026.010 N01.12.11.026.053 N01.12.11.026.025 N01.12.11.026.027 N01.12.11.026.055 N01.12.11.026.054 N01.12.11.026.013 N01.12.11.026.016 N01.12.11.026.044 N01.12.11.026.029 N01.12.11.026.024 N01.12.11.026.008 N01.12.11.026.014 N01.12.11.026.009 N01.12.11.026.007 N01.12.11.026.002 N01.12.11.026.005 N01.12.11.026.004 N01.12.11.026.030 N01.12.11.026.026 N01.12.11.026.028 N01.12.11.026.012 N01.12.11.026.015 N01.12.11.026.051 N01.12.11.026.050 N01.12.11.026.038 N01.12.11.026.023 N01.12.11.026.056 N01.12.11.026.017 N01.12.11.026.037 N01.12.11.026.036 N01.12.11.026.043 N01.12.11.026.045 N01.12.11.026.046 N01.12.11.026.047 N01.12.11.026.048 N01.12.11.026.049 N01.12.11.026.034 N01.12.11.026.040 N01.12.11.026.041 N01.12.11.026.032 N01.12.11.026.039 N01.12.11.026.052) და დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე“;

მომხსენებელი: ჯუმბერ ყანდარელი

20. „ქალაქ თბილისში, სოფელი ტაბახმელა საკადასტრო კოდი: N81.02.19.934 ნაკვეთის ფართობი: 9502 კვ.მ. თეატრალური მინი ქალაქის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე“;

მომხსენებელი: ჯუმბერ ყანდარელი

21. „ქალაქ თბილისში, ქაქუცა ჩოლოყაშვილის ქუჩასა და მდ. მტკვარს შორის არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.17.14.003.241) მრავალფუნქციური საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის შეთანხმების შესახებ“ ქ.თბილისის მერის 2012 წლის 19 აპრილის N944 განკარგულებაში ცვლილების შეტანის დამტკიცების თაობაზე“;

მომხსენებელი: ჯუმბერ ყანდარელი

22. „ქალაქ თბილისში, სოფელ ლისისკენ მიმავალი გზის მარჯვენა მხარეს არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: N01.10.18.006.197; N01.10.18.006.142) საცხოვრებელი კომპლექსის (საცხოვრებელი, კომერციული, საბავშვო ბაღი) განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე“;

მომხსენებელი: ჯუმბერ ყანდარელი

23. „ქალაქ თბილისში, გლდანი-ნაძალადევის რაიონში, მუხიანის საცხოვრებელი რაიონის მიმდებარედ, შ.პ.ს. „პილოტი“-ს, შ.პ.ს. „დიდიჯი“-ს, მოქალაქე დანი ნაჰუმის და მოქალაქე რონიტ შალევის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (N011/010, N011/012, N011/013) მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების კომპლექსის, განაშენიანების რეგულირების გეგმის შეთანხმების შესახებ“ ქალაქ თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის 2008 წლის 5 აგვისტოს N01/1033 ბრძანებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმაში ცვლილების შეტანის პროექტის დამტკიცების თაობაზე“;

მომხსენებელი: ჯუმბერ ყანდარელი

24. „ქ.თბილისში, კრწანისის რაიონში, ნარიმანოვის ქ.N12-ში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (ს/კ.: N01.18.01.002.020; N01.18.01.002.021) მრავალბინიანი კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 27 დეკემბრის N432 განკარგულებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმაში ცვლილების შეტანის პროექტის დამტკიცების თაობაზე“;

მომხსენებელი: ჯუმბერ ყანდარელი

25. „ქ.თბილისში, ვაკის რაიონში, სოფელ თხინვალაში არსებულ მიწის ნაკვეთებზე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 აპრილის N119 განკარგულებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის დამტკიცების თაობაზე“;

მომხსენებელი: ჯუმბერ ყანდარელი

26. „ქ.თბილისში, ლისზე არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდით: N72.16.21.679) საგანმანათლებლო დანიშნულების ობიექტის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე“;

მომხსენებელი: ჯუმბერ ყანდარელი

27. „ქ.თბილისში, ვაკის რაიონში, ბავშვთა ქალაქ „მზიურის“ ჭავჭავაძის I ჩიხის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთებზე (ს/კ.: N01.14.14.005.236; N01.14.14.005.233; N01.14.14.005.232) მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 2 აგვისტოს N225 განკარგულების ბათილად ცნობის თაობაზე“;

მომხსენებელი: ჯუმბერ ყანდარელი

28. „ქალაქ თბილისში, ლისის ტბის მიმდებარედ, სოფელ ლისისკენ მიმავალი გზის მარჯვენა მხარეს არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.10.18.006.218, ნაკვ. N01/10) მრავალფუნქციური კომპლექსის („თი-ბი-სი" სათავო ოფისი, რესტორანი, კაფე, სპორტული დარბაზები, სპა, საცურაო აუზი და ა.შ) განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 13 ნოემბრის N329 განკარგულებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის დამტკიცების თაობაზე";

მომხსენებელი: ჯუმბერ ყანდარელი

29. „ქ.თბილისში, დიდუბის რაიონში, აგლაძის ქ.N11ᵃ, N22-ში, კოსმონავტების სანაპირო N25, 25ᵃ-ში არსებულ მიწის ნაკვეთებზე მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის დამტკიცების შესახებ";

მომხსენებელი: ჯუმბერ ყანდარელი

30. „ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის დებულების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 16 სექტემბრის N8-15 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ";

მომხსენებელი: გიორგი ტყემალაძე

31. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციებისთვის 2020 წელს შრომითი ხელშეკრულებით ასაყვან პირთა წლიური სახელფასო ლიმიტის დაწესების შესახებ";

მომხსენებელი: გიორგი ტყემალაძე

32. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა და აპარატის პროფესიული საჯარო მოხელეების საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 16 იანვრის N10-26 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე";

მომხსენებელი: გიორგი ტყემალაძე

33. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის - ირაკლი ნადირაძისთვის (პ/ნ.: 01013014200) ადმინისტრაციული პატიმრობის ვადით უფლებამოსილების შეჩერების შესახებ";

მომხსენებელი: გიორგი ტყემალაძე

მომხრე - 32

თავი შეიკავა - 1

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ხმათა უმრავლესობით იქნა მიღებული.

1. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გარემოს დაცვის კომისიის თავმჯდომარის თანამდებობიდან ერეკლე კუხიანიძის გადაყენების შესახებ" საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ და კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 31

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

2. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის (საქალაქო სამსახურის უფროსი) თანამდებობაზე ვიქტორ წილოსანის დანიშვნაზე თანხმობის მიცემის შესახებ“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე მაია ბითაძემ და დამსწრე საზოგადოებას გააცნო ვიქტორ წილოსანის სამუშაო გამოცდილება. აღნიშნა, რომ მისი რესურსი და პროფესიონალიზმი ეფექტიანი იქნება ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის გაძლიერების პროცესში და სატრანსპორტო პოლიტიკაში არსებული გამოწვევების გადაჭრაში. მაია ბითაძემ აქვე აღნიშნა, რომ მომავალი წლიდან, გადაწყვეტილია საქალაქო სამსახურის გარდაქმნა საჯარო სამართლის იურიდიულ პირად, რადგან ამ სფეროში არსებული გამოწვევები დაკავშირებულია არა მხოლოდ ახალი ავტობუსების შეძენასა და საგზაო ინფრასტრუქტურის მოწყობასთან, არამედ ასევე, იმ თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვასთან, რომელიც უზრუნველყოფს საზოგადოებრივი ტრანსპორტის უსაფრთხო და სწრაფ გადაადგილებას.

ვახტანგ შაქარიშვილმა აღნიშნა, რომ წარმოდგენილ კანდიდატურას მხარს უჭერს და წარმატებებს უსურვებს, თუმცა აქვს შეკითხვა - დაახლოებით ორი კვირის წინ, მთავრობის სხდომაზე, თბილისის მერმა, ე.წ. ყვითელი მიკროავტობუსების ჩანაცვლებასთან დაკავშირებით, წარადგინა ბუნდოვანი სქემა, რომელიც გულისხმობს თბილისის ბიუჯეტიდან მიკროავტობუსების შეძენას. აღსანიშნავია, რომ მიკროავტობუსები, როგორც საზოგადოებრივი ტრანსპორტის ფორმა, მიუღებელია და ამიტომ დაგეგმილი იყო მათი გაყვანა საზოგადოებრივი ტრანსპორტის სქემიდან. აქედან გამომდინარე, გაუგებარია და ბევრ კითხვას ბადებს მიკროავტობუსების შეძენასთან დაკავშირებით წარმოდგენილი ინიციატივა და შესაბამისად, საინტერესო და სასურველია დეტალური განმარტებების მოსმენა, რატომ ხდება ქალაქის ბიუჯეტიდან ფულის გადახდა იმ სატრანსპორტო საშუალებებში, რომლებსაც ყველაზე ნაკლებად შეიძლება ვუწოდოთ საზოგადოებრივი და გაუგებარია, როდის, რა ფასით და პირობებით მოხდება კომპანიის მხრიდან, მათი გამოსყიდვა.

თევდორე ისაკაძემ განაცხადა, რომ ვიქტორ წილოსანის მენეჯერული გამოცდილება ხელს შეუწყობს სატრანსპორტო სფეროში დაგეგმილი რეფორმების წარმატებით განხორციელებას, რაც გულისხმობს საჯარო სამართლის იურიდიული პირის შექმნას. აღნიშნა, რომ საკრებულოს სატრანსპორტო საკითხთა კომისიამ ერთხმად დაუჭირა მხარი ვიქტორ წილოსანის კანდიდატურას და იმედი გამოთქვა, რომ საკრებულო კვლავ წარმატებით განაგრძობს სამსახურთან ურთიერთობას.

თამარ ტალიაშვილმა განაცხადა, რომ ტრანსპოტრის საქალაქო სამსახურის უფროსის თანამდებობაზე ვიქტორ წილოსანის კანდიდატურა მისასალმებელია. მისი გამოცდილებიდან გამომდინარე, თამამად შეიძლება ითქვას, რომ მომავალი საქმიანობა ტრანსპორტის სფეროში და საკრებულოს წევრების თანამშრომლობა ისეთივე წარმატებული იქნება, როგორიც ეს იყო აქამდე. აქვე აღნიშნა, რომ ტრანსპორტის სფეროში მიმდინარე მნიშვნელოვან რეფორმებს, რომელსაც ახორციელებს დედაქალაქის მერია, უდიდესი როლი აქვს „სმარტ სითის“ კონცეფციაში.

ბექა დავითულიანის თქმით, ტრანსპოტრის საქალაქო სამსახურის უფროსის თანამდებობაზე ვიქტორ წილოსანის კანდიდატურა მისასალმებელია და დარწმუნებულია, რომ იგი მაღალი პასუხისმგებლობით მოეკიდება ამ მნიშვნელოვან დარგს, რომლის მოწესრიგებაც წინასაარჩევნო კამპანიის ერთ-ერთი პრიორიტეტი იყო. სატრანსპორტო სისტემის მოწესრიგების სფეროში, თავდაპირველი მიდგომა იყო ის, რომ მგზავრთა გადაყვანის ძირითადი საზოგადოებრივი ტრანსპორტი უნდა ყოფილიყო მეტრო და ავტობუსი, ხოლო მიკროავტობუსს უნდა ემოძრავა მხოლოდ იმ მარშრუტზე, რომელსაც ვერ დაფარავდა ავტობუსი. თუმცა, კომპანია „სისტრას“ მიერ ჩატარებული კვლევის შედეგად, გამოიკვეთა მიკროავტობუსების როლი და აღმოჩნდა, რომ მიკროავტობუსებმა უნდა იმოძრაონ არა მარტო პატარა მარშრუტებზე, არამედ პარალელურად უნდა დაფარონ ის მანძილიც, რომლებზეც, მგზავრთა რაოდენობიდან გამომდინარე, მხოლოდ ავტობუსი არ არის საკმარისი. აქედან გამომდინარე, გარემოს დაბინძურების თავიდან აცილების მიზნით, უნდა მოხდეს

მიკროავტობუსების განახლებაც. რაც შეეხება იმას, თუ რატომ ეხმარება მერია კერძო კომპანიას მიკროავტობუსების პარკის განახლებაში, განმარტა, რომ კომპანიას მიკროავტობუსების შეძენის შესაძლებლობა არ აქვს, მგზავრობის ტარიფის ზრდის გარეშე. იქიდან გამომდინარე, რომ დედაქალაქში იყოს ეკოლოგიურად სუფთა და გამართული საზოგადოებრივი ტრანსპორტი, მერიის მხრიდან მოხდება ამ პროცესის დაწყება, ხოლო მას შემდეგ, რაც კომპანია მოახდენს ხარჯების ოპტიმიზაციას, განაგრძობს ავტოპარკის განახლებას და ამავდროულად, დაიწყებს თბილისის მერიის მიერ შეძენილი მიკროავტობუსების გამოსყიდვას. ბექა დავითულიანის თქმით, ანალოგიურად ხდება საგზაო სამუშაოების განხორციელებისას, როდესაც თბილისის მერია ცვლის საკომუნიკაციო საშუალებებს და შემდგომ გადასცემს კომპანიას ისე, რომ არ აისახოს კაპიტალურ ხარჯებში, რათა არ მოხდეს ტარიფის ზრდა. აქედან გამომდინარე, აღნიშნული არის სოციალური პროექტი, რომელიც ხორციელდება მოსახლეობის ინტერესებიდან გამომდინარე.

ვლადიმერ ძნელაძემ განაცხადა, რომ ვიქტორ წილოსანი არის გამოცდილი და პროფესიონალი კადრი და მოუწოდა საკრებულოს წევრებს მხარი დაუჭირონ მის კანდიდატურას ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის უფროსის თანამდებობაზე.

ვიქტორ წილოსანმა საკრებულოს წევრებს მადლობა გადაუხადა მხარდაჭერისთვის და დეტალურად ისაუბრა მიკროავტობუსებთან დაკავშირებით დასმულ შეკითხვაზე და განმარტა, რომ ქ.თბილისის მერია, კომპანია „სისტრასთან“ ერთად, ორი წელია მუშაობს სატრანსპორტო პოლიტიკის შემუშავებაზე, რა დროსაც გამოიკვეთა რამდენიმე ფაქტორი: ევროპაში კერძო ავტომობილი ჰყავს მოსახლეობის 70%-ს, ხოლო საქართველოში - 35%-ს, თუმცა მოტორიზაციის კოეფიციენტი ევროპაში არის 8%, საქართველოში - 33%, რაც იმას ნიშნავს, რომ კვირაში ხუთ დღეზე მეტი ხდება ავტომობილის გამოიყენება და როდესაც ჩვენ მივაღწევთ 70%-ს, ავტომობილის გამოყენება იქნება 8-ჯერ მეტი, რაც წარმოუდგენელია ინფრასტრუქტურიდან და ქუჩების გამტარუნარიანობიდან გამომდინარე; ქსელის დაგეგმარება მოხდება ურბანული განვითარების შესაბამისად და განახევრდება ის ადგილები, სადაც საერთოდ არ არის საზოგადოებრივი ტრანსპორტის ხელმისაწვდომობა. იქნება ათი დერეფანი, რომლებზეც იმოძრავებს 18 მეტრიანი ავტობუსები, ხოლო ყველა სხვა დანარჩენი ხაზი რეალურად იქნება „ამ დერეფნების მკვებავი“. აქედან გამომდინარე, შემცირდება მიკროავტობუსების რაოდენობა და ისინი იმოძრავებენ მხოლოდ იმ ხაზებზე, სადაც ავტობუსების მიღწევადობა იქნება შეუძლებელი. რაც შეეხება მიკროავტობუსების ჩანაცვლების პროცესში მერიის მონაწილეობას, განმარტა, რომ კომპანიის ფინანსური რესურსით, ავტოპარკის განახლება შეუძლებელია ტარიფის ზრდის გარეშე. ხოლო ფასის გაზრდა, სოციალური ფონის, ქსელის რეორგანიზების და იმის გათვალისწინებით, რომ მოსახლეობა მაქსიმალურად გადავიდეს საზოგადოებრივი ტრანსპორტით მგზავრობაზე, არასწორი იქნება. აღსანიშნავია ისიც, რომ მერიის მიერ მოხდება იმ 300 მიკროავტობუსის ჩანაცვლება, რომლებიც ტექნიკურად იმდენად გაუმართავია, რომ ვერ აკმაყოფილებს უსაფრთხოების ნორმებს და კრიტიკულად მოქმედებს გარემოზე. ვიქტორ წილოსანის თქმით, თბილისის მერიამ, მიკროავტობუსების ჩანაცვლებასთან დაკავშირებით, გადაწყვეტილება მიიღო ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე. აქვე, ისიც აღნიშნა, რომ კომპანია ვალდებულია, ფინანსური რესურსის მოძიებისთანავე, კომერციული ფინანსური ფასით, გამოისყიდოს მიკროავტობუსები.

შალვა ოგბაიძემ აღნიშნა, რომ გარდა, საკრებულოს მაჟორიტარი წევრისა, წარმოადგენს ტრანსპორტის სფეროში მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციას, რომლის სურვილია ამ სფეროს მოწესრიგება, რაც, მისი თქმით, ძალიან რთული გზაა და მოითხოვს რეფორმების განხორციელებას. მან ვიქტორ წილოსანს მომავალ საქმიანობაში წარმატებები უსურვა და თანამშრომლობა და მხარდაჭერა შესთავაზა.

ვახტანგ შაქარიშვილი დაეთანხმა მოსაზრებას, რომ ამ ეტაპზე მიკროავტობუსების არსებობა, საზოგადოებრივი ტრანსპორტის სახით, საჭიროა, თუმცა მისთვის გაუგებარია, რატომ არ მოხდა კომპანიასთან ხელშეკრულების შეწყვეტა და ინეტერესთა გამოხატვის გამოცხადება, რათა შექმნილიყო კონკურენტუნარიანი გარემო. ასევე, იქიდან გამომდინარე, რომ ავტობუსით

შესაძლებელია უფრო მეტი მგზავრის გადაყვანა, ვიდრე მიკროავტობუსით და თანხა იხარჯება თბილისის ბიუჯეტიდან, საინტერესოა რატომ არ ხდება მიკროავტობუსების ნაცვლად, ავტობუსების შეძენა. მისი თქმით, ასევე საინტერესოა, თუ რა ფასად მოხდება მიკროავტობუსების გამოსყიდვა, რადგან დღეს შეძენილი მიკროავტობუსები დროთა განმავლობაში განიცდიან ცვეთას და თუ კომპანიის ფინანსური მდგომარეობა არ გაუმჯობესდება პირობითად, 5 წელი, მიკროავტობუსის ღირებულება იმ დროისთვის იქნება გაცილებით დაბალი.

ვიქტორ წილოსანმა განმარტა, რომ კომპანიასთან ხელშეკრულების შეწყვეტა ვერ მოხდებოდა, რადგან მას წარმოდგენილი ჰქონდა ტარიფის გაზრდის სამართლებრივი დასაბუთება და შესაბამისად, არ არსებობდა კონტრაქტის შეწყვეტის საფუძველი. გარდა ამისა, მოსახლეობის უსაფრთხოებიდან და გარემოზე ზემოქმედებიდან გამომდინარე, მერია ითხოვდა კრიტიკულ მდგომარეობაში მყოფი მიკროავტობუსების ჩანაცვლებას და შეირჩა 300 მიკროავტობუსი, რომელიც სიცოცხლისთვის საშიშია. კითხვაზე თუ რატომ არ ხდება მიკროავტობუსების ნაცვლად ავტობუსების შეძენა, კიდევ ერთხელ განმრატა, რომ თბილისის რელიეფიდან გამომდინარე, ბევრ ადგილას ვერ იმოძრავებს თუნდაც 8 მეტრიანი ავტობუსი. რაც შეეხება იმას, თუ რა ფასად გამოისყიდის კომპანია მიკროავტობუსებს, განმარტა, რომ ეს მოხდება გამოსყიდვის მომენტისთვის არსებული კომერციული ფასით, რომელიც გულისხმობს ჩადებულ ფულს დამატებული ბაზარზე არსებული კოეფიციენტი და მინუს საბალანსო ცვეთის ღირებულება. თუმცა აღსანიშნავია, რომ მიკროავტობუსის საბალანსო ცვეთის ღირებულება არის ის ღირებულება, რომელიც მოხმარდება მოსახლეობას და არა კომპანიისთვის მოგების შექმნას, რაც თავისთავად გულისხმობს იმას, რომ კომპანია ამაში სარგებელს ვერ ნახავს.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 34

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

3. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 25 დეკემბრის N34-115 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსმა გაიოზ თალაკვაძემ და განმარტა, რომ ცვლილებები განპირობებულია ბიუჯეტში სხვადასხვა მიმართულებით არსებული რესურსის ოპტიმალურად გამოყენებით. წარმოდგენილია ბიუჯეტის ზრდა 5616000 ლარით, საიდანაც 5976000 ლარი არის არაფინანსური აქტივების კლების გეგმის ზრდა, ხოლო 360000 ლარი - საერთაშორისო ორგანიზაციებიდან მისაღები გრანტების კლება, რაც გამოიწვეულია იმით, რომ ერთ-ერთი გრანტი ჩაირიცხება იანვარში. გარდა ამისა, კლება წარმოდგენილია სხვადასხვა მუხლების მიხედვით, რაც ჯამში შეადგენს 54000000 ლარს, რაც აისახება მომავალი წლის ბიუჯეტში, გარდამავალი ნაშთის სახით. ხოლო წელს, გამოთავისუფლებული რესურსი მოხმარდება ძირითადად სამ მიმართულებას: სამგზავრო ტრანსპორტის მოძრავი შემადგენლობის მოდერნიზაციას, რაც გულისხმობს სხვადასხვა სიგრძის და ზომის ავტობუსების შესყიდვას, სასწრაფო დახმარების ასიგნებების გაზრდას და საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანისას უფასო და შეღავათიანი ტარიფით მოსარგებლე პირთა მომსახურების გაზრდას.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 33

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

4. „საქართველოს დედაქალაქის ადმინისტრაციულ საზღვრებში ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მიზნით ავტობუსების (M2 კატეგორია) მოძრაობის მარშრუტების დამტკიცების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის N17-47 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ" საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილემ ვასილ აბულაძემ და განმარტა, რომ პროექტი ითვალისწინებს M2 კატეგორიის ავტობუსებზე დამტკიცებულ მარშრუტებში დედაქალაქის მთავრობისთვის ცვლილების შეტანის უფლებასილების მინიჭებას, სარეაბილიტაციო სამუშაობის მიმდინარეობის პერიოდში.

ლევან ჟორჟოლიანმა განმარტა, რომ წარმოდგენილი ცვლილება არის კონკრეტული მიზეზიდან გამომდინარე, კერძოდ, სარეაბილიტაციო სამუშაოების განხორციელებისას, ამა თუ იმ მარშრუტზე ცვლილებას განახორციელებს დედაქალაქის მთავრობა და ამავე დადგენილების თანმდევი აქტია, რომ ტარიფი რჩება უცვლელი.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 27

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

5. „საქართველოს დედაქალაქის – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ეკონომიკის რეგულირებად სფეროდ განსაზღვრული ავტობუსებით (M2 კატეგორია) მგზავრთა გადაყვანისას მგზავრობის ტარიფების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 აპრილის N8-31 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილემ ვასილ აბულაძემ და განმარტა, რომ დედაქალაქში დადგენილი იქნა ელექტრომობილების დატენვისთვის განკუთვნილი ადგილები, სადაც აკძალულია სხვა სახის სატრანსპორტო საშუალების გაჩერება. წარმოდგენილი პროექტით განსაზღვრულია სპეციალური საცნობი ნიშანი, რომელიც განთავსდება ზემოთ აღნიშნულ ადგილებში.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 29

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

6. „ქალაქ თბილისის ადმინისტრაციულ საზღვრებში სატრანსპორტო საშუალებების პარკირების რეგულირების წესისა და პარკირების საფასურის დადგენის შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 27 დეკემბრის N33-99 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილემ ვასილ აბულაძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილი პროექტი არის ზემოთხსენებული, M2

კატეგორიის ავტობუსების მარშრუტების ცვლილებასთან დაკავშირებული დადგენილების თანმდევი აქტი.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 30

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

7. „ცალკეული ხაზობრივი ნაგებობების განთავსების, სამუშაოების წარმოების ან/და მათი შემდგომი რეგისტრაციის თაობაზე თანხმობის გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის N19-75 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ინსპექციის საქალაქო სამსხაურის უფროსმა ლევან ჯღარკავამ და განმარტა, რომ წარმოდგენილი პროექტით, ე.წ. პროვაიდერებისთვის, სამუშაოების წარმოებისას ტერიტორიის პირვანდელ მდგომარეობაში მოყვანის ან ხარვეზის აღმოფხვრის ვადა 10-დან 3 დღემდე მცირდება, უხარისხო ასფალტის საფარის გამოყენების შემთხვევაში შეტყობინების ვადა შემცირდა 5 დღემდე, ხოლო გამოსწორების - 3 დღემდე. ასევე, გაჩნდა ჩანაწერი, რომ ყველა ვალდებულია მუნიციპალურ ინსპექციაში წარადგინოს ოფიციალური წერილი ან შეტყობინება, არსებული სამუშაოების დასრულებასთან დაკავშირებით.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 33

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

8. „ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობის პროგრამის“ განხორციელებისა და ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების აღრიცხვის წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 9 თებერვლის N12-29 დადგენილებით დამტკიცებული „ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობის პროგრამის“ განხორციელებისა და ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების აღრიცხვის წესში“ ცვლილების შეტანის შესახებ“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის გლდანის რაიონის გამგებელმა ბექა მიქაუტაძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილია ორი სახის ცვლილება: თანამონაწილეობის თანხა 10%-დან შემცირებულია 5%-მდე ძირითად სამუშაოებზე, კერძოდ, სახურავებზე, ლიფტებზე, კანალიზაციის სისტემასა და ნაპრალებზე, რაც განპირობებულია იმით, რომ მოგვარდეს რაც შეიძლება მეტი ადამიანის პრობლემა; ასევე, წარმოდგენილია თანამონაწილეობიდან მრავალშვილიანი ოჯახების გათავისუფლება, რაც საკრებულოს ინიციატივაა და სრულად იზიარებს დედაქალაქის მთავრობა.

გიორგი დოხტურიშვილი დაინტერესდა, რამდენად შესაძლებელია, რომ წესში განხორციელდეს რამდენიმე ცვლილება, კერძოდ: პროექტში მონაწილეობის მიღების შესაძლებლობა მიეცეთ რამდენიმე ათეული წლის წინ აშენებულ კორპუსებს, სადაც არ არის ლიფტი, მრავალსართულიან კორპუსებში მოხდეს ძველი, ამორტიზებული სახანძრო კიბის აღდგენა-რეაბილიტაცია და კორპუსებში შეიქმნას შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებზე ადაპტირებული გარემო. აქვე აღნიშნა, რომ ზემოთ ჩამოთვლილი ცვლილებები

გამომდინარეობს მოსახლეობის ინტერესებიდან, მათი გათვალისწინება წესში იქნება მისასალმებელი. გიორგი დოხტურიშვილი ასევე, დაინტერესდა, რამდენად მიზანშეწონილი იქნება, რომ ამხანაგობებს განესაზღვროთ რამდენიმე მიმართულება თანამონაწილეობით შეგროვებული თანხის გამოყენებისთვის.

ბექა მიქაუტაძემ განმარტა, რომ მიმდინარე წელს, გლდანის რაიონში, მოეწყო შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებზე ადაპტირებული ექვსი პანდუსი, თუმცა ეს განხორციელდა არა ამხანაგობის წესიდან გამომდინარე, არამედ კეთილმოწყობის კუთხით, რაც უფრო სწორი და სიმბოლურია, რადგან განკუთვნილია კონკრეტულ პიროვნებაზე თუ პიროვნებებზე და არსად ჩანს ამხანაგობის განვითარების არსი. სახანძრო კიბის აღდგენა-რეაბილიტაციაზე, განაცხადა, რომ მისასალმებელი ინიციატივაა და შესაძლებელია ამ პროექტზე მუშაობა. ლიფტებთან დაკავშირებით, განმარტა, რომ მსგავსი პროექტის განხორციელების ამხანაგობის წესში ჩაწერამ შესაძლებელია, მშენებლების მხრიდან, გამოიწვიოს ნაკლები დაინტერესება და ამიტომ უმჯობესია მისი განხორციელება დამოუკიდებლად, კორპუსის მაცხოვრებლების ინიციატივით, რისი არაერთი მაგალითიც არსებობს. რაც შეეხება ამხანაობისთვის თანამონაწილეობით შეგროვებული თანხის გამოყენების კონკრეტული მიმართულების განსაზღვრას, განაცხადა, რომ არ იქნება მიზანშეწონილი, რადგან ამხანაგობის განვითარების არსი მდგომარეობს იმაში, რომ თავად გადაწყვიტონ, რა უფრო პრიორიტეტულია ადგილობრივი მაცხოვრებლებისთვის.

ჯაბა ჯიმშკარიანმა აღნიშნა, რომ ამხანაგობის წესიდან ამოღებულია ის პუნქტი, რომელიც ამხანაგობის წევრებს საშუალებას აძლევდა, შეეგროვებინა თანხა და თანადაფინანსებით გაეკეთებინა შენობის ფასადი, რამაც გამოიწვია ის, რომ თბილისის ისტორიულ ნაწილში, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის წესით სახლების გამაგრებისას, ხდება ფასადის მხოლოდ გალესვა და იკარგება შენობის ისტორიული ხიბლი. აქედან გამომდინარე, დაინტერესდა, რამდენად შესაძებელია, რომ ისტორიული შენობების რეაბილიტაციის დროს, კომპანიას ჰქონდეს ფასადის იერსახის შენარჩუნების ვალდებულება. ასევე, დაინტერესდა, როგორ ხდება თანამონაწილეობის 5%-ის გამოთვლა.

რამინა ბერაძემ შენობის ფასადების რეაბილიტაციასთან დაკავშირებით, არქიტექტურული და კულტურული ძეგლების გარდა, რომლების რეაბილიტაციასაც ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობა ნაკლებად ახორციელებს, გამოთქვა მოსაზრება, რომ უმჯობესი იქნება წესში ჩაიწეროს წინა ფასადის რეაბილიტაციის ვალდებულებაც, თუ რა თქმა უნდა, ეს არ იქნება დიდ თანხასთან დაკავშირებული და თუ განხორციელდება ამხანაგობასთან შეთანხმებით. რაც შეეხება ლიფტებს, აღნიშნა, რომ ჩუღურეთის რაიონში, ოთხსართულიან საცხოვრებელ სახლში, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ერთი პირისთვის გაკეთდა დამოუკიდებელი ლიფტი, რაც იმის დასტურია, რომ ამისთვის საკმარისია ნება, ამხანაგობის აქტიურობა და გამგეობის ჩართულობა. რაც შეეხება თანამონაწილეობით შეგროვებული თანხის განკარგვას, ამხანაგობამ გამგეობას უნდა წარუდგინოს ანგარიში, თუ რა მიმართულებით იქნა გამოყენებული აღნიშნული თანხა, წინააღმდეგ შემთხვევაში, ამხანაგობას მეორე პროექტისთვის თანხის მოთხოვნის უფლებამოსილება აღარ მიეცემა.

ბექა მიქაუტაძემ განმარტა, რომ გლდანის რაიონის გამგეობა აკონტროლებს ამხანაგობის მიერ თანამონაწილეობით შეგროვებულ თანხას და თუ ის არ იქნება გამოყენებული შესაბამისი მიზნობრიობით, აღნიშნული ამხანაგობა მეორედ ვეღარ მიმართავს გამგეობას. რაც შეეხება ფასადებს, განმარტა, რომ არავის აქვს ფასადის მოპირკეთების შეზღუდვა, თუმცა, ისტორიული შენობების შემთხვევაში, შესათანხმებელია ისტორიულ საბჭოსთან, მრავალსართულიანი კორპუსების შემთხვევაში კი დაკავშირებულია ძალიან დიდ თანხებთან და შესაძლებელია ბევრმა ამხანაგობამ ვერ შეძლოს თანამონაწილეობისთვის საჭირო თანხის შეგროვება. აქედან გამომდინარე, წესში აღნიშნულის ჩაწერა მიზანშეწონილი არ არის, თუმცა აღსანიშნავია, რომ ამხანაგობის წესის საშუალებით, არ არსებობს პროექტი, რომლის განხორციელებაც, მონდომების შემთხვევაში, არ იქნება შესაძლებელი.

ოთარ გრიგოლიამ გამოთქვა მოსაზრება, რომ ამხანაგობას ფინანსური თვალსაზრისით ცენტრალიზაცია,უმცირებს თვითორგანიზების სივრცეს, რამაც შესაძლებელია გამოიწვიოს ბიუჯეტზე მიბმა და დაინტერესდა, აღნიშნული რამდენად შეუწყობს ხელს აღნიშნული ამხანაგობის განვითარებას.

ბექა მიქაუტაძემ განმარტა, რომ ძალიან ბევრი კორპუსი დგას ისეთი პრობლემების წინაშე, რომლების მოსაგვარებლად საჭიროა ასი ათას ლარამდე ღირებულების სამუშაოების განხორციელება. რა თქმა უნდა წესი უნდა ახალისებდეს ამხანაგობას, რომ რაც შეიძლება მეტი თავად გააკეთოს, თუმცა, არსებობს ისეთი პრობლემები, რომლების სასწრაფოდ მოგვარება სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 22

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

9. „ქალაქ თბილისში, ქუჩა პეტრე და იოსებ ოცხელების, N24-ში (საკადასტრო კოდი: N01.19.33.002.060.01.503) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ „ქონების მართვის სააგენტოს“ უფროსის მოვალეობის შემსრულებელმა გიორგი გვენეტაძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილია ერთი ოჯახისთვის 53.08 კვ.მ. საცხოვრებელი ფართის საკუთრებაში გადაცემა.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 30

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

10. „ქალაქ თბილისში, დაბა წყნეთი, იოსებ გრიშაშვილის ქუჩა N49-ში (საკადასტრო კოდი: N01.20.01.001.009) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ „ქონების მართვის სააგენტოს“ უფროსის მოვალეობის შემსრულებელმა გიორგი გვენეტაძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილია ოთხი ოჯახისთვის რვა ერთეული საცხოვრებელი ფართის, საერთო მოცულობით 397 კვ.მ., საკუთრებაში გადაცემა.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 26

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

11. „ქალაქ თბილისში, სოფელ ოქროყანაში, დავით გურამიშვილის ქუჩა N7-ში (საკადასტრო კოდი: N01.15.07.003.101.01.002) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე

წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ „ქონების მართვის სააგენტოს“ უფროსის მოვალეობის შემსრულებელმა გიორგი გვენეტაძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილია ერთი ოჯახისთვის 90.26 კვ.მ. საცხოვრებელი ფართის საკუთრებაში გადაცემა.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 27

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

12. „ქალაქ თბილისში, ქუჩა ბესარიონ ჭიჭინაძე, N10ᵃ, კორპუსი N3-ში (საკადასტრო კოდი: N01.19.23.009.032) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ „ქონების მართვის სააგენტოს“ უფროსის მოვალეობის შემსრულებელმა გიორგი გვენეტაძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილია თერთმეტი ოჯახისთვის თოთხმეტი ერთეული საცხოვრებელი ფართის, საერთო მოცულობით 507.18 კვ.მ., საკუთრებაში გადაცემა.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 27

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

13. „ქალაქ თბილისში, ქუჩა ბესარიონ ჭიჭინაძე, N10ᵃ, კორპუსი N3-ში (საკადასტრო კოდი: N01.19.23.009.032) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ „ქონების მართვის სააგენტოს“ უფროსის მოვალეობის შემსრულებელმა გიორგი გვენეტაძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილია ცხრა ოჯახისთვის ცხრა ერთეული საცხოვრებელი ფართის, საერთო მოცულობით 566.37 კვ.მ., საკუთრებაში გადაცემა.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 25

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

14. „ქალაქ თბილისში, მამია გურიელის ქ.N5ᵃ-ში მდებარე უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი: N01.14.15.001.300.03.03.002) პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ „ქონების მართვის სააგენტოს“ უფროსის მოვალეობის შემსრულებელმა გიორგი გვენეტაძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილია ჯემალ და გიული ჭკუასელებისთვის 77.9 კვ.მ. საცხოვრებელი ფართის საკუთრებაში გადაცემა, რომლის სანაცვლოდაც მუნიციპალიტეტს საკუთრებაში გადაეცემა ზემოთ აღნიშნული მოქალაქეების საკუთრებაში არსებული, ყიფშიძის ქუჩაზე მშენებარე კორპუსში მდებარე 67.6 კვ.მ. საცხოვრებელი ფართი.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ გიორგი ახვლედიანმა კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 24

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

15. „ქალაქი თბილისი, შანდორ პეტეფის ქუჩის ხელმარცხნივ N10, N18ᵃ და N20ᵃ კორპუსებს შორის არსებული 233 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.17.10.002.317) საჯარო სამართლის იურიდიული პირი - საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიისთვის (ს/ნ.: 204395537) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების შესახებ“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ „ქონების მართვის სააგენტოს“ უფროსის მოვალეობის შემსრულებელმა გიორგი გვენეტაძემ და განმარტა, რომ მიწის ნაკვეთის გადაცემა ხორციელდება, მიმდებარედ არსებული ეკლესიისთვის დამხმარე შენობა-ნაგებობის მშენებლობის მიზნით.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ გიორგი ახვლედიანმა კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 25

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

16. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, განსაზღვრული მოძრავი ქონების საჯარო სამართლის იურიდიული პირი - საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდე ბელი ეკლესიისთვის (ს/ნ.: 204395537) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზებისა და შესაბამისი ხელშეკრულების პირობების შეთანხმების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ „ქონების მართვის სააგენტოს“ უფროსის მოვალეობის შემსრულებელმა გიორგი გვენეტაძემ და განმარტა, რომ მოძრავი ქონების სახით წარმოდგენილია მეორადი ლითონის ჯართი.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ გიორგი ახვლედიანმა კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 25

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

17. „ქალაქ თბილისში, რკინის რიგის ქუჩაზე რეგისტრირებული 536 კვ.მ. მიწის ნაკვეთიდან (ს/კ.: N01.18.03.061.039) 21 კვ.მ. მიწის ნაკვეთის ი/მ მანანა პრუსეცკისთვის (პ/ნ.: 01008005543) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ „ქონების მართვის სააგენტოს“ უფროსის მოვალეობის შემსრულებელმა გიორგი გვენეტაძემ და განმარტა, რომ მიწის ნაკვეთის გადაცემა ხორციელდება, ღია კაფეს მოწყობის მიზნით.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ გიორგი ახვლედიანმა კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 21

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

18. „ქალაქ თბილისში, ნუცუბიძის ქ.N88-90-ის მიმდებარედ არსებული 54 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (ს/კ.: N01.14.04.008.341) მარიამ ჭუბაბრიასთვის (პ/ნ.: 01024076018) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე" საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ „ქონების მართვის სააგენტოს" უფროსის მოვალეობის შემსრულებელმა გიორგი გვენეტაძემ და განმარტა, რომ მიწის ნაკვეთის გადაცემა ხორციელდება, ღია კაფეს მოწყობის მიზნით.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ გიორგი ახვლედიანმა კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 23

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

19. „ქალაქ თბილისში, ცოტნე დადიანის ქუჩა, ვეტერანთა და შრომის პარკის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდით: N01.12.11.026.010 N01.12.11.026.053 N01.12.11.026.025 N01.12.11.026.027 N01.12.11.026.055 N01.12.11.026.054 N01.12.11.026.013 N01.12.11.026.016 N01.12.11.026.044 N01.12.11.026.029 N01.12.11.026.024 N01.12.11.026.008 N01.12.11.026.014 N01.12.11.026.009 N01.12.11.026.007 N01.12.11.026.002 N01.12.11.026.005 N01.12.11.026.004 N01.12.11.026.030 N01.12.11.026.026 N01.12.11.026.028 N01.12.11.026.012 N01.12.11.026.015 N01.12.11.026.051 N01.12.11.026.050 N01.12.11.026.038 N01.12.11.026.023 N01.12.11.026.056 N01.12.11.026.017 N01.12.11.026.037 N01.12.11.026.036 N01.12.11.026.043 N01.12.11.026.045 N01.12.11.026.046 N01.12.11.026.047 N01.12.11.026.048 N01.12.11.026.049 N01.12.11.026.034 N01.12.11.026.040 N01.12.11.026.041 N01.12.11.026.032 N01.12.11.026.039 N01.12.11.026.052) და დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე" საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილემ ჯუმბერ ყანდარელმა და განმარტა, რომ ტერიტორიაზე დაგეგმილია მრავალბინიანი, 10, 12 და 15 სართულიანი, საცხოვრებელი სახლების მშენებლობა.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ გიორგი ახვლედიანმა კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 26

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

20. „ქალაქ თბილისში, სოფელი ტაბახმელა საკადასტრო კოდი: N81.02.19.934 ნაკვეთის ფართობი: 9502 კვ.მ. თეატრალური მინი ქალაქის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე" საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილემ ჯუმბერ ყანდარელმა და განმარტა, რომ წარმოდგენილია კოტე მარჯანიშვილის სახელობის თეატრის, ე.წ. მინი თეატრალური ქალაქის მშენებლობა. ტერიტორიის განვითარება მოხდება სარეკრეაციო ზონა 3-ით, დაგეგმილია საზოგადოებრივი დანიშნულების ობიექტების - თეატრის, რესტორნის და სასტუმროს მშენებლობა.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ გიორგი ახვლედიანმა კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 28

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

21. „ქალაქ თბილისში, ქაქუცა ჩოლოყაშვილის ქუჩასა და მდ. მტკვარს შორის არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.17.14.003.241) მრავალფუნქციური საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის შეთანხმების შესახებ“ ქ.თბილისის მერის 2012 წლის 19 აპრილის N944 განკარგულებაში ცვლილების შეტანის დამტკიცების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილემ ჯუმბერ ყანდარელმა და განმარტა, რომ კორექტირებით წარმოდგენილია საპროექტო არეალის გაზრდა, ტერიტორიის განვითარება მოხდება საცხოვრებელი ზონა 5-ით, 7.5 ჰექტარ მიწის ნაკვეთზე მოეწყობა სკვერი. ასევე, განსაზღვრულია სამშენებლო ეტაპები, რომლის მიხედვითაც, პირველ რიგში მოხდება სკვერის მოწყობა, ხოლო შემდეგ განხორციელდება მრავალბინიანი საცხოვრებელი კომპლექსის სამშენებლო სამუშაოები.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 26

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

22. „ქალაქ თბილისში, სოფელ ლისისკენ მიმავალი გზის მარჯვენა მხარეს არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: N01.10.18.006.197; N01.10.18.006.142) საცხოვრებელი კომპლექსის (საცხოვრებელი, კომერციული, საბავშვო ბაღი) განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილემ ჯუმბერ ყანდარელმა და განმარტა, რომ საპროექტო არეალის ფართობია 56798 კვ.მ., რომლის სამშენებლო განვითარება მოხდება საცხოვრებელი ზონა 5, სარეკრეაციო ზონა 2, სატყეო ზონა და სატრანსპორტო ზონა 1-ის ფარგლებში. დაგეგმილია ტერიტორიის გამიჯვნა 9 სექტორად, საიდანაც 7 ნაკვეთზე განთავსდება საცხოვრებელი კომპლექსი, ერთზე - საბავშვო ბაღი და ერთზე მოეწყობა საგზაო ინფრასტრუქტურა.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 28

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

23. „ქალაქ თბილისში, გლდანი-ნაძალადევის რაიონში, მუხიანის საცხოვრებელი რაიონის მიმდებარედ, შ.პ.ს. „პილოტი“-ს, შ.პ.ს. „დიდიჯი“-ს, მოქალაქე დანი ნაჰუმის და მოქალაქე რონიტ შალევის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (N011/010, N011/012, N011/013) მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების კომპლექსის, განაშენიანების რეგულირების გეგმის შეთანხმების შესახებ“ ქალაქ თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო

სამსახურის 2008 წლის 5 აგვისტოს N01/1033 ბრძანებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმაში ცვლილების შეტანის პროექტის დამტკიცების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილემ ჯუმბერ ყანდარელმა და განმარტა, რომ წარმოდგენილი გრგ დამტკიცდა 2008 წელს, რომელშიც 2015 წელს განხორციელდა ცვლილებები. ტერიტორიაზე დაგეგმილია მრავალბიანიანი საცხოვრებელი კომპლექსის მშენებლობა. დღეს წარმოდგენილი კორექტირება ითვალისწინებს 2008 წელს დამტკიცებული გრგ-ს საპროექტო არეალის დაბრუნებას, რაც გულისხმობს განაშენიანების ინტენსივობის საერთო ფართობის შემცირებას 5268 კვ.მ.-თი და სარეკრეაციო ზონის მომატებას 2380 კვ.მ.-თი.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 22

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

24. „ქ.თბილისში, კრწანისის რაიონში, ნარიმანოვის ქ.N12-ში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (ს/კ.: N01.18.01.002.020; N01.18.01.002.021) მრავალბინიანი კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 27 დეკემბრის N432 განკარგულებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმაში ცვლილების შეტანის პროექტის დამტკიცების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილემ ჯუმბერ ყანდარელმა და განმარტა, რომ კორექტირებით წარმოდგენილია საპროექტო არეალის გაზრდა 1621 კვ.მ.-თი, სადაც არ მოხდება შენობა-ნაგებობის განთავსება, თუმცა ტერიტორიის მომატების ხარჯზე, ტერიტორიაზე არსებულ შენობა-ნაგებობას დაემატება სამი სართული.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 26

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

25. „ქ.თბილისში, ვაკის რაიონში, სოფელ თხინვალაში არსებულ მიწის ნაკვეთებზე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 აპრილის N119 განკარგულებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის დამტკიცების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილემ ჯუმბერ ყანდარელმა და განმარტა, რომ კორექტირებით წარმოდგენილია შენობა-ნაგებობის მოცულობის გაზრდა 15-დან 17 მეტრამდე, თუმცა აღსანიშნავია, რომ შენობა შესაბამისობაშია დადგენილი განაშენიანების რეგულირების ხაზებთან. კორექტირებით ასევე, წარმოდგენილია შიდა გზის გაფართოება 3.5 მეტრიდან 5.5 მეტრამდე.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 26

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

26. „ქ.თბილისში, ლისზე არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდით: N72.16.21.679) საგანმანათლებლო დანიშნულების ობიექტის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე" საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილემ ჯუმბერ ყანდარელმა და განმარტა, რომ ტერიტორიის ფართობია 10000 კვ.მ., რომელზეც ვრცელდება სარეკრეაციო ზონა, თუმცა, მისი სამშენებლო განვითარება დაგეგმილია სპეციალური ზონა 1-ით, რადგან დაგეგმილია საგანმანათლებლო დაწესებულების პროექტის განხორციელება. სკოლა გათვალისწინებულია 400 მოსწავლეზე, ტერიტორიაზე ასევე, განვითარდება შესაბამისი სატრანსპორტო და რეკრეაციული სივრცეები.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 30

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

27. „ქ.თბილისში, ვაკის რაიონში, ბავშვთა ქალაქ „მზიურის" ჭავჭავაძის I ჩიხის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთებზე (ს/კ.: N01.14.14.005.236; N01.14.14.005.233; N01.14.14.005.232) მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების შესახებ" საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილემ ჯუმბერ ყანდარელმა და განმარტა, რომ წარმოდგენილია სახელწიფოს საკუთრებაში არსებულ, „მზიურის" ტერიტორიაზე, დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმარებითი დავალების ბათილად ცნობის საკითხი, რაც გამოწვეულია იმ გარემოებით, რომ გეგმარებითი დავალების დამტკიცების ეტაპზე წარდგენილი არ ყოფილა მესაკუთრის თანხმობა. იქიდან გამომდინარე, რომ დამტკიცებული გეგმარებითი დავალება წინააღმდგობაშია კანონმდებლობის მოთხოვნებთან, წარმოდგენილია მისი ბათილად ცნობის პროექტი.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 27

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

28. „ქალაქ თბილისში, ლისის ტბის მიმდებარედ, სოფელ ლისისკენ მიმავალი გზის მარჯვენა მხარეს არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.10.18.006.218, ნაკვ. N01/10) მრავალფუნქციური კომპლექსის („თი-ბი-სი" სათავო ოფისი, რესტორანი, კაფე, სპორტული დარბაზები, სპა, საცურაო აუზი და ა.შ) განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 13 ნოემბრის N329 განკარგულებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის დამტკიცების თაობაზე" საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილემ ჯუმბერ ყანდარელმა და განმარტა, რომ

კორექტირების შედეგად მოხდება გზების უმნიშვნელოდ გაფართოება, რაც თავისთავად იწვევს ფუნქციური ზონების კონფიგურაციის უმნიშვნელო ცვლილებას.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 29

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

29. „ქ.თბილისში, დიდუბის რაიონში, აგლაძის ქ.N11ᵃ, N22-ში, კოსმონავტების სანაპირო N25, 25ᵃ-ში არსებულ მიწის ნაკვეთებზე მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის დამტკიცების შესახებ" საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილემ ჯუმბერ ყანდარელმა და განმარტა, რომ კორექტირებით მოთხოვნილია საპროექტო არეალის გაზრდა და ტერიტორიის სავაჭრო ფუნქციით განვითარებასთან ერთად, გათვალისწინებულია გასართობი, კვების და დასასვენებელი ფუნქციის შენობა-ნაგებობის განთავსება. დამატებულ არეალზე, ასევე გათვალისწინებულია მიწისქვეშა და მიწისზედა ავტოსადგომების მოწყობა.

გიორგი ტყემალაძემ განმარტა, რომ წარმოდგენილია ელიავას ბაზრობის გარკვეული ნაწილის განვითარების პროექტი. თბილისის მუნიციპალიტეტი მუშაობს ელიავას ბაზრობის ერთიანი კონცეფციით განვითარებაზე, რასაც შესაძლებელია ხელი შეუშალოს წარმოდგენილი გრგ-ს დამტკიცებამ და აქედან გამომდინარე, ურბანული დაგეგმარებისა და საქალაქო მეურნეობის კომისიას აღნიშნული გრგ-ს დამტკიცება მიზანშეწონილად არ მიაჩნია.

რევაზ სოხაძემ განმარტა, რომ ურბანული დაგეგმარებისა და საქალაქო მეურნეობის კომისიას მიაჩნია, რომ დედაქალაქისთვის უფრო მისაღები იქნება, რომ ელიავას ბაზრობის ტერიტორიის განვითარება მოხდეს ერთიანი კონცეფციით. აქედან გამომდინარე თვლის, რომ მიზანშეწონილი არ არის აღნიშნული ტერიტორიის ცალკეული ნაწილების განვითარება და შესაბამისად, წარმოდგენილი გრგ-ს დამტკიცების წინააღმდეგია.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 1

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 31

გადაწყვეტილება არ იქნა მიღებული.

30. „ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის დებულების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 16 სექტემბრის N8-15 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ" საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ. განმარტა, რომ ცვლილებები განპირობებულია საკრებულოს აპარატის დებულებაში შრომის ინსპექტორის ფუნქციების ასახვით და კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 28

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

31. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციებისთვის 2020 წელს შრომითი ხელშეკრულებით ასაყვან პირთა წლიური სახელფასო ლიმიტის დაწესების შესახებ"

საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ. განმარტა, რომ ფრაქციების დაფინანსების ლიმიტი რჩება უცვლელი, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, საჭიროა მისი ხელახალი დამტკიცება და კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 30

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

32. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა და აპარატის პროფესიული საჯარო მოხელეების საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 16 იანვრის N10-26 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ. განმარტა, რომ პროექტით წარმოდგენილია ცვლილებები საკრებულოს აპარატის საკადრო რესურსების განყოფილებაში და საფინანსო-საბიუჯეტო კომისიაში და კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 30

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

33. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის - ირაკლი ნადირაძისთვის (პ/ნ.: 01013014200) ადმინისტრაციული პატიმრობის ვადით უფლებამოსილების შეჩერების შესახებ“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის - ირაკლი ნადირაძისთვის ადმინისტრაციული პატიმრობის ვადით უფლებამოსილების შეჩერების შესახებ საკითხი ცნობად იქნა მიღებული.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომაზე მიღებული იქნა 8 დადგენილება და 23 განკარგულება.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძე

საკრებულოს თავმჯდომარის
პირველი მოადგილე გიორგი ახვლედიანი